



მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები

თებერვალი, 2021



მოკლე შეჯამება

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2020 წლის იანვარში, რეალური მშპ-ს ზრდის ტემპმა შეადგინა -11.5 პროცენტი

წლიურმა ინფლაციამ თებერვალში შეადგინა 3.6 პროცენტი, ხოლო საბაზისო ინფლაციამ - 6.3

იანვარში ექსპორტი შემცირდა წლიურად 16.2 პროცენტით

იანვარში იმპორტი შემცირდა წლიურად 16.6 პროცენტით

საკრედიტინგო კომპანიამ Fitch-მა უცვლელად დატოვა საკრედიტო რეიტინგი BB დონეზე, თუმცა შეცვალა პერსპექტივა სტაბილურიდან ნეგატიურამდე

საკრედიტინგო კომპანიამ S&P-მ უცვლელად დატოვა საკრედიტო რეიტინგი BB დონეზე თუმცა შეცვალა პერსპექტივა სტაბილურიდან ნეგატიურამდე

ეკონომიკური ზრდა

წინასწარი შეფასებით, 2021 წლის იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) კლება 11.5 პროცენტი შეადგინა. 2020 წლის საშუალო რეალური ზრდა -6.1 პროცენტით განისაზღვრა. აღნიშნული კლება გამოწვეულია ეკონომიკური აქტივობის შემცირებით, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე რეგიონში COVID-19 პანდემიის გავრცელების გამო. 2021 წლის იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კლება შეინიშნებოდა შემდეგ საქმიანობებში: მშენებლობა, ტრანსპორტი და დასაწყობება, დამამუშავებელი მრეწველობა, განთავსების საშუალებით უზრუნველყოფა, ხელოვნება, გართობა და დასვენება, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიციონირების მიწოდება, საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი. ზრდა დაფიქსირდა ინფორმაცია და კომუნიკაციის, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების სფეროებში.


ფასების დონე

2021 წლის თებერვლის მონაცემებით, ინფლაციის დონემ 3.6 პროცენტი შეადგინა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. საბაზო ინფლაცია (თამბაქოს გარეშე) კი შესაბამის პერიოდში 6.3 პროცენტზე დაფიქსირდა.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების დინამიკამ ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლაზე (+12.3 პროცენტი), ჯანმრთელობის დაცვა (+9.8), ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო (+8.1), სურსათი და უალკოჰოლო სასმელები (+6.2). ხოლო წლიური კლება დაფიქსირდა საცხოვრებელი, წყალი, ელენერგია, აირი (-21.2) კატეგორიაში.


ამავე დროს, 2021 წლის თებერვალში წინა თვესთან შედარებით ინფლაციამ შეადგინა 1.1 პროცენტი. ფასები გაიზარდა შემდეგ კატეგორიებში: სასტუმროები, კაფეები და რესტორნები (+3.7 პროცენტი), ტრანსპორტი (+2.5 პროცენტი), ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება (+1.7 პროცენტი). მნიშვნელოვნად შემცირდა ფასები ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე (-3.4 პროცენტი).

დიაგრამა 1: ეკონომიკური ზრდა




წყარო: საქსტატი

დიაგრამა 2: წლიური ინფლაცია, 2021 თებერვალი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 3: ინფლაციის დეკომპოზიცია, 2021 თებერვალი



წყარო: საქსტატი

საბარემო გაჭრობა

2021 წლის იანვარში ექსპორტი წლიურად შემცირდა 16.2 პროცენტით (ხოლო ადგილობრივი ექსპორტი შემცირდა 6.4 პროცენტით) და გაუტოლდა 224.4 მლნ აშშ დოლარს, ხოლო იმპორტი შემცირდა 16.6 პროცენტით და გაუტოლდა 538.1 მლნ აშშ დოლარს, რამაც შეამცირა სავაჭრო დეფიციტი 16.8 პროცენტით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და გაუტოლდა 313.6 მლნ აშშ დოლარს. აღნიშნული მნიშვნელოვანი შემცირება გამოწვეულია COVID-19 ეპიდემიის გავრცელების შედეგად საშინაო და საგარეო მოთხოვნის შემცირებით და რეგიონში ეკონომიკური აქტივობის შეჩერებით. 2021 წლის იანვარში ადგილობრივი ექსპორტის რეალურმა ზრდამ -7.5 პროცენტი შეადგინა, ხოლო იმპორტის რეალურმა ზრდამ -17.8 პროცენტი. რექსპორტის წილმა შეადგინა 25.9 პროცენტი, ხოლო ნედლეულის ექსპორტმა - 39.4 პროცენტი. 2021 წლის იანვარში, საინვესტიციო, სამომხმარებლო და შუალედური საქონლის იმპორტი შემცირდა 1.4, 6.6 და 7.8 პროცენტით შესაბამისად (წილი მთლიან ზრდაში).

2021 წლის იანვარში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი დაიკავა სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა 49.7 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 22.1 პროცენტი), მეორე ადგილზე - მსუბუქი ავტომობილები 24.8 მლნ აშშ დოლარით (11.1 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზე - ფეროშენადნობები 23.8 მლნ. აშშ დოლარით (10.4 პროცენტი). 2021 წლის იანვარში ნავთობის აირების ჯგუფი იყო უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი, რომლის იმპორტმა 46.3 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 8.6 პროცენტი შეადგინა. ასევე მნიშვნელოვან წილს იკავებდნენ სხვა მანქანები და მექანიზმები გადაადგილების, ამოთხრის ან გაბურღვისათვის 40.8 მლნ აშშ დოლარით (7.6 პროცენტი) და ნავთობი და ნავთობპროდუქტები 36.6 მლნ აშშ დოლარით (6.8 პროცენტი).


2021 წლის იანვარში უმსხვილეს საექსპორტო პარტნიორს წარმოადგენენ აზერბაიჯანი (34.4 მლნ. აშშ დოლარი, მთლიანი ექსპორტის 15.3 პროცენტი), ბულგარეთი (27 მლნ. აშშ დოლარი, 12) და ჩინეთი (26.9 მლნ. აშშ დოლარი, 12). ხოლო უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნები არიან: ჩინეთი (99.6 მლნ. აშშ დოლარი, 18.5), თურქეთი (92.8 მლნ. აშშ დოლარი, 17.3) და რუსეთი (55.6 მლნ. აშშ დოლარი, 10.3).

დიაგრამა 4: ადგილობრივი ექსპორტის და იმპორტის წლიური ცვლილება




წყარო: საქსტატი

დიაგრამა 5: ექსპორტის დეკომპოზიცია



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 6: იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია




წყარო: საქსტატი

ტურიზმი

2021 წლის იანვარში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 94.6 პროცენტით შემცირდა და 10.4 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული მკვეთრი შემცირება გამოწვეულია COVID-19 ეპიდემიის გავრცელების გამო საზღვრების ჩაკეტვით და საერთაშორისო მოგზაურობის შეწყვეტით საქართველოს ტერიტორიაზე მარტის მეორე ნახევრიდან. 2020 წელს, ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი შემცირდა 83.4 პროცენტით და მიღებული შემოსავალი გაუტოლდა 542 მლნ აშშ დოლარს. 2020 წლის განმავლობაში მოგზაურობიდან მიღებულ შემოსავალში ყველაზე დიდი წვლილი უკავია თურქეთს, 18.6 პროცენტი. ასევე მნიშვნელოვანი წილი უკავია რუსეთს, 18.1 პროცენტი, და ევროკავშირს, 14.4 პროცენტი.

დიაგრამა 7: შემოსავალი ტურიზმიდან, მლნ აშშ დოლარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილები

2021 წლის იანვარში წმინდა ფულადი გზავნილები 132.5 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც შეადგენს 24 პროცენტთან წლიურ ზრდას. გზავნილები გაიზარდა სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან, სადაც მოხდა არსებული შეზღუდვების ნაწილობრივი შერბილება და ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურება. გზავნილები გაიზარდა იტალიიდან 30.5 პროცენტით (5.9 პროცენტის წვლილი მთლიან ზრდაში), აშშ-დან 35.8 პროცენტით (4.4 პროცენტის წვლილი მთლიან ზრდაში), საბერძნეთიდან 26.1 პროცენტით (3.4 პროცენტის წვლილი მთლიან ზრდაში). ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა გზავნილები უკრაინიდან და აზერბაიჯანიდან. ამავე დროს, წმინდა გზავნილებში კლება დაფიქსირდა რუსეთიდან - 12.3 პროცენტი (-2.1 პროცენტის წვლილი მთლიან ზრდაში) და თურქეთიდან - 2.1 პროცენტი (-0.1 პროცენტის წვლილი მთლიან ზრდაში).


დიაგრამა 8: წმინდა ფულადი გზავნილები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გაცვლითი კურსი

დიაგრამა 9: ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 10: რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ცხრილი 1: ნომინალური ეფექტური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსების ცვლილება

	28 თებერვალი, 2021	28 თებ 2021 - 1 იან 2021	28 თებ 2021 - 1 იან 2020
ევრო	4.0322	▼ -20.3%	▼ -24.1%
აშშ დოლარი	3.3255	▼ -13.8%	▼ -19.6%
თურქული ლირა	0.4498	▲ 7.1%	▲ 12.4%
რუსული რუბლი	0.0446	▲ 3.3%	▼ -14.0%
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი	109.82	▼ -0.7%	▼ -7.9%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (იანვარი, 2020)	103.97	▼ -0.9%	▼ -8.2%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნაერთი ბიუჯეტის შესრულება


2021 წლის გადასახადების იანვარ-თებერვალში საპროგნოზო მაჩვენებელი 1,771 მლნ ლარს შეადგენს, 2021 წლის იანვარ-თებერვლის ფაქტობრივი მაჩვენებელი დაგეგმილზე 3.5 პროცენტით მეტია, და შეადგენს 1,832.9 მლნ ლარს.

2021 წლის თებერვალში გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის აფქტორიზმა მაჩვენებელმა შეადგინა 901.2 მლნ ლარი, რაც 9.8 პროცენტით აღემატება დაგეგმილ მაჩვენებელს - 820.9 მლნ ლარს.

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 214 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (210 მლნ ლარი) 101.9 პროცენტია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 41.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (70 მლნ ლარი) 59 პროცენტია.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 341.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (391 მლნ ლარი) 87.3 პროცენტია.
- აქციზის სახით მობილიზებულია 87.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (69.6 მლნ ლარი) 126.1 პროცენტია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 5.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (7 მლნ ლარი) 72.8 პროცენტია.


2021 წლის იანვარში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა 13.1 პროცენტით, ხოლო ხარჯები გაიზარდა 16.1 პროცენტით. ამავე დროს, ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდო, რაც წარმოადგენს მთავრობის დანაზოგს, შეადგინა 96.1 მლნ ლარი, ხოლო მთლიანი სალდო განისაზღვრა - 47.8 მლნ ლარით. ჯამში, გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი წლიურ ზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია დღგ-დან მიღებულმა შემოსავლებმა, რომელიც წლიურად შემცირდა 13.7 პროცენტით და შეიტანა -5.8 პროცენტის კონტრიბუცია მთლიან ზრდაში და საშემოსავლო გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავალმა, რომელიც წლიურად შემცირდა 17.7 პროცენტით და შეიტანა -7.5 პროცენტის კონტრიბუცია მთლიან ზრდაში.

დიაგრამა 11: ნაერთი ბიუჯეტის შესრულება



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო


დიაგრამა 12: გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელი


დიაგრამა 13: პორტფელის შემოსავლიანობის მრუდი



დიაგრამა 14: საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი



დიაგრამა 15: ემისია და მოთხოვნა, მლნ ლარი




2021 წლის თებერვალში ჩატარდა 4 აუქციონი ჯამური გამოშვებით 87.625 მლნ ლარი. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 8.005 პროცენტი შეადგინა.

გამოშვებულ იქნა 6 და 12 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები; 2 და 5 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები. დაიფარა 70 მლნ ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდები.

ფასიანი ქაღალდების პორტფელის სტრუქტურამ მცირე ცვლილება განიცადა. პორტფელის შემოსავლიანობა უმნიშვნელოდ შეიცვალა. პორტფელში შემავალი ფასიანი ქაღალდების ჯამური საშუალო შეწონილი ვადიანობა (ATM) მცირედით შემცირდა წინა თვესთან შედარებით.

2021 წლის 28 თებერვლისთვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის 21.93 პროცენტი ფორმირებული არის იმ ფასიანი ქაღალდებით, რომელთა დაფარვის ვადა დგება მომავალი 1 წლის განმავლობაში. მოთხოვნის კოეფიციენტი გასული თვის მაჩვენებელთან (ინვარი 2.20) შედარებით გაიზარდა და 2.99 შეადგინა.

დიაგრამა 16: პორტფელში შემავალი ფასიანი ქაღალდების კომპოზიცია დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით





კერძო სექტორის დოლარიზაცია

სესხების ლარიზაციას მზარდი ტენდენცია გააჩნია, 2021 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 44.1 პროცენტს გაუტოლდა. აღსანიშნავია რომ მთლიანი სესხების ლარიზაციის ძირითად დეტერმინანტს კვლავ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ლარიზაცია წარმოადგენს. 2021 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 59.4 პროცენტი, ხოლო იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე - 28.6 პროცენტი შეადგინა.

აგრეთვე მზარდია დეპოზიტების ლარიზაცია, თუმცა მისი მნიშვნელობა ჩამოუვარდება სესხების ლარიზაციას და 2021 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით მთლიანი დეპოზიტების ლარიზაცია 37.9 პროცენტს უტოლდება. დეპოზიტების ლარიზაციას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს იურიდიული პირების დეპოზიტების ლარიზაცია. 2021 წლის 1 თებერვალს, იურიდიული პირების დეპოზიტების ნაშთებზე ლარიზაცია 54 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო ამავე პერიოდში ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია 23.4 პროცენტს შეადგენს.



აღსანიშნავია, რომ 2020 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი მზარდი ტენდენცია შეინიშნება ვადიანი დეპოზიტების ლარიზაციაში, 2021 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით მისი მნიშვნელობა 41 პროცენტს გაუტოლდა და მთლიანი დეპოზიტების ლარიზაციაში ძირითად კონტრიბუტორად იქცა. მცირედი კლება შეინიშნება მიმდინარე ანგარიშების ლარიზაციაში და 2021 წლის პირელი თებერვლის მდგომარეობით 39.3 პროცენტს უტოლდება, ამავე პერიოდში მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 31 პროცენტს შეადგენს.

დიაგრამა 17: სესხების ლარიზაცია



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დიაგრამა 18: დეპოზიტების ლარიზაცია



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სესხების მიმოხილვა


დიაგრამა 19: სესხების წლიური ზრდა



საკრედიტო პორტფელის წლიურ ზრდაში კლების ტენდენცია შეინიშნება და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 2020 წელის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი სესხები 10.9 პროცენტით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით). აგრეთვე მნიშვნელოვანი კლება შეინიშნება იურიდიული პირების სესხების წლიურ ზრდაში რამაც განაპირობა 2021 წლისათვის მისი მნიშვნელობის 10.8 პროცენტამდე შემცირება, ამავე პერიოდში ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 10.9 პროცენტს შეადგენს. აღნიშნული ცვლილებების შედეგად უკანასკნელ პერიოდში არსებული დინამიკა რომლის მიხედვითაც სესხების ზრდის ძირითად მამოძრავებელს იურიდიული პირების სესხების ზრდა წარმოადგენდა, 2021 წლის დასაწყისისთვის შეიცვალა და როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირების სესხების ზრდას თანაბარი კონტრიბუცია შეაქვს მთლიან ზრდაში.

აღსანიშნავია რომ ეროვნული ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდას ბოლო პერიოდში აღმავალი ტენდენცია გააჩნია და 2021 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით მისი მნიშვნელობა 18.2 პროცენტს გაუტოლდა. ამავე პერიოდში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წლიური ზრდა 5.8 პროცენტს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ არსებული დინამიკა ხელს უწყობს სესხების ლარიზაციის ზრდას, რაც დადებითად აისახება ქვეყნის მოწყვლადობის შემცირებაზე გაცვლითი კურსის მერყეობის მიმართ.

დიაგრამა 20: უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიური ზრდა



2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 20.1 პროცენტი შეადგინა. ამასთან იპოთეკური სესხები რომლებიც ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული 31.1, ხოლო იპოთეკური სესხები რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული 15.2 პროცენტით გაიზარდა.




დეპოზიტების მიმოხილვა

მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2021 წლის 1 თებერვალს 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 20 პროცენტს შეადგენს. მნიშვნელოვანი ზრდის დინამიკა შეინიშნება ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდაში, რამაც განაპირობა 1 თებერვლის მდგომარეობით წლიური ზრდის 37 პროცენტის მაჩვენებლის მიღწევა, შედარებით სტაბილურია უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა და იმავე პერიოდში 11 პროცენტს შეადგენს. არსებული განვითარება დადებით გავლენას ახდენს დეპოზიტების ლარიზაციაზე.

2020 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 13 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების წლიურ ზრდაში მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია შეინიშნა და ამავე პერიოდში მისი მნიშვნელობა 29 პროცენტს გაუტოლდა.

რაც შეეხება დეპოზიტების ზრდას ტიპების მიხედვით, მიმდინარე ანგარიშების წლიური ზრდა 5.1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა იანვართან შედარებით. 2021 წლის თებერვლის დასაწყისში 14.3 პროცენტი შეადგინა, მიმდინარე ანგარიშების ზრდის ტემპის ზრდის პარალელურად, ვადიანი დეპოზიტების ნაშთების ზრდაში დაფიქსირებული შემცირება და 1 თებერვლის მდგომარეობით ვადიანი დეპოზიტების ნაშთების წლიური ზრდა 30 პროცენტს გაუტოლდა და მნიშვნელოვანწილად განაპირობა მთლიანი დეპოზიტების ზრდა. ამავე პერიოდში მოთხოვნამდე დეპოზიტების ზრდამ 9.5 პროცენტი შეადგინა.


დიაგრამა 21: დეპოზიტების წლიური ზრდა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი

დიაგრამა 22: ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



დიაგრამა 23: სეზონალური აუქციონზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ



საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2021 წლის 3 თებერვალს რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8.0 პროცენტს შეადგენს. ეროვნული ბანკის მიხედვით, სხვა თანაბარ პირობებში, 2021 წელს ინფლაცია საშუალოდ 4 პროცენტის ფარგლებში შენარჩუნდება და შემდეგ მიზნობრივ მაჩვენებელს ეტაპობრივად დაუახლოვდება. ინფლაციაზე აღმავალი ზეწოლა ნარჩუნდება პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გახანგრძლივების ფონზე წარმოების ხარჯების ზრდისა და გაუფასურებული კურსის გამო, რაც თავის მხრივ, ზრდის იმპორტირებულ ინფლაციასა და შუალედურ ხარჯებს. ერთობლივი მოთხოვნა, საგარეო მოთხოვნის მკვეთრი კლების გამო, კვლავ შემცირებულია. კვლავ მაღალი რჩება გაურკვევლობა როგორც გლობალური ეკონომიკური აქტივობის აღდგენის დინამიკის, ისე ადგილობრივი დაკრედიტების ზრდის ტემპის შესახებ. ზემოხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის შენარჩუნების საჭიროება გამოიკვეთა. თუმცა, კომიტეტი არ გამორიცხავს მომავალში საპროცენტო განაკვეთის ზრდას. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2021 წლის 17 მარტს ჩატარდება.

საპროცენტო განაკვეთები

2021 წლის 1 თებერვლისთვის უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 2.5 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით - 9.1 პროცენტს უტოლდება.


2021 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 9.1 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით - 2 პროცენტს. ამავე პერიოდში ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 2.6 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 9.2 პროცენტს შეადგენს.

2021 წლის 1 თებერვალს საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 22.7 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 26.2 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.5 პროცენტს).

გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე საშუალო შეწონილ საპროცენტო განაკვეთს მნიშვნელოვანწილად ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხები განსაზღვრავს. მისი მნიშვნელობა 2021 წლის თებერვალში 17.1 პროცენტს გაუტოლდა. ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 18.4 პროცენტს შეადგენს, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე 7.9 პროცენტს.



იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2021 წლის იანვრის ბოლოს 12.4 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტით - 7 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 11.8 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში - 6.3 პროცენტი.

დიაგრამა 24: საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 25: საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 26: საქართველოს საკრედიტო რეიტინგები



წყარო: სარეიტინგო კომპანიები: Moody's, Fitch და S&P

სუვერენული რეიტინგები

2021 წლის თებერვალში Fitch-ის სააგენტომ გამოაქვეყნა ანგარიში, რის მიხედვითაც საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი უცვლელ, „BB“ დონეზე დატოვა ნეგატიური პერსპექტივით. სააგენტო აღნიშნავს, რომ მსგავსი რეიტინგის მქონე ქვეყნებს შორის საქარველო გამოკვეთილი ლიდერია მმართველობისა და ბიზნეს გარემოს მაღალი ხარისხით. სააგენტო ხაზს უსვამს ბოლო წლებში განხორციელებული თანმიმდევრული და დამაჯერებელი მაკროეკონომიკური პოლიტიკის შედეგად ეკონომიკის გაზრდილი მოქნილობისა და შოკების მიმართ მდგრადობას. სააგენტოს შეფასებით საქართველოს ეკონომიკა მსგავს ქვეყნებთან შედარებით უფრო სწრაფად აღდგება და 2021 წელს ეკონომიკური ზრდა 4.3 შეადგენს. შეფასებაში ხაზგასმულია ფისკალური რისკების შეფასებისა და მართვის მიმართლებით ფინანსთა სამინისტროს მიერ მიღწეული პროგრესი. ასევე დადებითადაა შეფასებული სახელმწიფო საწარმოების რეფორმა.

2021 წლის თებერვალში, სარეიტინგო კომპანიამ S&P-მ განაახლა საქართველო საკრედიტო რეიტინგი და უცვლელად დატოვა BB დონეზე, თუმცა შეცვალა პერსპექტივა სტაბილურიდან უარყოფითამდე. S&P-ის მიხედვით, რეიტინგის შენარჩუნებას მხარს უჭერს საქართველოს რეგიონთან შედარებით ძლიერი ინსტიტუციური მოწყობა; მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი; და შეღავათიანი დაფინანსების დროული მიღება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან. ნეგატიური პერსპექტივის მინიჭება განპირობებულია საქართველოს მიერ საგარეო ვალდებულებებთან შედარებით შესაბამისი საგარეო დაფინანსების სახსრების მოძიების რისკით. S&P-ის მიხედვით, ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი ვერ მიაღწევს 2019 წლის დონეს 2024 წლამდე. ამავე დროს, S&P-ის მიხედვით, საშინაო პოლიტიკურ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად, ზემოთ აღნიშნული ფაქტორებმა შეიძლება შეაფერხოს ზრდისა და საგარეო დაფინანსებისთვის მნიშვნელოვანი უცხოური ინვესტიციების შემოდინების საშუალო ვადიანი პერსპექტივა. სააგენტოს შეფასებით 2021 წელს საქართველოს ეკონომიკური ზრდა 4, ხოლო 2022 წელს 4.2 პროცენტს შეადგენს.



საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.